

ნინო ქადაგიძე დაიბადა 30.07.69 წ. ქ. თბილისში;

1975წ-1986 წ სწავლობდა თბილისის პირველ ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაში;

1988 წელს ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე;

1993 წ. დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

1994წ-1996 წ მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ნორმატიული აქტების ექსპერტიზის სამმართველოს კონსულტანტად;

1996წ -1998წ იყო ამავე სამინისტროს ნორმატიული აქტების ექსპერტიზის სამმართველოს მთავარი კონსულტანტი;

1998წ -1999წ. ეკავა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის სამმართველოს უფროსის თანამდებობა;

1999 წელს ევროპის სამართლის ინსტიტუტში, ბირმინგემის უნივერსიტეტში, გაიარა პროგრამა: ადამიანის უფლებათა სამართალი და პრაქტიკა.

1999 -2000წ იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროში საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი.

2000 წ - 2002 წ. მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ;

2002წ -2012 წ. იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

2013 წლიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე.

დაკავებულია პედაგოგიური საქმიანობით იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. კითხულობს სალექციო კურსს ადმინისტრაციული სამართალში, მათ შორის მონაწილეობს როგორც ტრენერი საარჩევნო დავების განხილვის თავისებურებების ანალიზის კუთხით.